პროფესიული მომზადების/პროფესიული
გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მიმნიჭებელი საბჭო

11/08/2025

MES 9 25 0000970353

გადაწყვეტილება

შპს თაქთაქაში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ და „შპს თაქთაქასთვის „თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის №1182060 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თაქთაქაში (ს/კ: 405607357) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს თაქთაქას „თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება“ პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მოპოვების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 19 სექტემბრის №1182060 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი)**.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს №967932 ოქმის მეშვიდე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს წევრი
ნოზაძე მარიამი

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონული

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01669	თმის ვარცხნილობის, შეჭრისა და ღებვის ხელოვნება	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	10	ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №39